საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/23

ქ. ბათუმი 18 თებერვალი, 2021 წ.

ბსუ-ს ზუსტ მეცნირებათა და განათლების ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა შაინიძის სადოქტორო სემინარის (ქვედარგში) შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების", ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებისა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორის ნუგზარ ღომიძის 2021 წლის 16 თებერვლის N118361 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა შაინიძეს სადოქტორო სემინარის (ქვედარგში) შემფასებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ასოცირებული პროფესორი ლალი კალანდაძე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე - კომისიის მდივანი;

გ) პროფესორი ნუგზარ ღომიძე - კომისიის წევრი, დოქტორანტის ხელმძღვანელი;

დ) ბსუ-ს ემერიტუსი ჟუჟუნა დიასამიძე - კომისიის წევრი.

2. დოქტორანტ ჯაბა შაინიძის სადოქტორო სემინარის დაცვა ჩატარდეს ZOOM-პლატფორმისის გამოყენებით 2021 წლის 23 თებერვალს, 18:00 სთ-ზე.

3. კომისიამ იხელმძღვანელოს „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებითა და ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებით.

4. შესაბამისმა დარგობრივმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სტუდენტის ინფორმირება წინამდებარე ბრძანების შესახებ.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს, ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**